ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.06.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/16

შეკითხვა:

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი არის იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონაცემების საფუძველზე შედგენილი იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ადვოკატების სია, რომელთა ფორმირება ხდება ღია კონკურსის გზით. რეესტრის ადვოკატსა და სამსახურს შორის ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

,,მოწვეულ საზოგადოებრივ რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე რეესტრის ადვოკატს ნიშნავს ბიუროს უფროსი, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, თუ არსებობს ,,იურიდიული დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებით ან/და სსიპ ,, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ” ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე–6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა, ასევე შესაძლებელი , განსაკუთრებულ შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით, რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვა ბიუროს უფროსის, მიმწოდებლის ან საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

კლიენტის მიერ სსიპ “იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორს წარედგინა საჩივარი, რითაც იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადვოკატის მომსახურებაზე და ითხოვდა იმავე ბიუროს სხვა ადვოკატის დანიშვნას. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე იურიდიული დახმარების სამსახურში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი: ა)როდესაც კლიენტს გააჩნია პრეტენზიები ბიუროს ადვოკატის მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სახეზე გვაქვს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის შემთხვევა ადვოკატსა და კლიენტს შორის?

ბ)როდესაც კლიენტს გააჩნია პრეტენზიები ბიუროს ადვოკატის მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით და ამავდროულად, ითხოვს იმავე ბიუროს სხვა ადვოკატის დანიშვნას, შესაძლებელია თუ არა, რომ იმავე ბიუროს სხვა ადვოკატი დაინიშნოს ამ პირის დამცველად, თუ ადვოკატი უნდა დაინიშნოს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი: „ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები. მოცემულ შემთხვევაში, „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუროში ადვოკატის მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით კლიენტის მიერ პრეტენზიების წარდგენა არ წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევას. ასევე, არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემათხვევას, თუ ამავე ბიუროს სხვა ადვოკატი გააგრძელებს მოცემული კლიენტის ინტერესების დაცვას. ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე წარმოიქმნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ბიუროში მომუშავე ადვოკატები განახორციელებდნენ იმ კლიენტების საადვოკატო მომსახურებას, რომელთა შორის წარმოიქმნებოდა ინტერესთა კონფლიქტი ან შეიქმნებოდა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე.

დასკვნა:

„იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუროში ადვოკატის წინააღმდეგ პრეტენზიის წარდგენა, არ წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას; იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს საადვოკატო ბიუროს ადვოკატის იურიდიული მომსახურებით და სურს მიიღოს ამავე ბიუროს სხვა ადვოკატის მომსახურება, აღნიშნული არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/